საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანდელაკი ალექსანდრე ეპიფანეს ძე

კანდელაკი ალექსანდრე ეპიფანეს ძე [17(29). IV. 1885, ქუთაისი, – 14. VII. 1966, თბილისი], თერაპევტი. საქართვ. დამს. ექიმი (1946). საექიმო-შრომითი ექსპერტიზის ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში.

1912, მოსკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სანქტ-პეტერბურგის ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკის ორდინატორად. I მსოფლიო ომის დროს გაჰყვა წითელი ჯვრის ჰოსპიტლის შემადგენლობას ფრონტის განაპირა ქალაქებში. იყო მოსკოვის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის თანამშრომელი (1916–19), ქ. თბილისის რკინიგზის სამედ. სამსახურის მთ. ექიმი (1919–20), ქალაქის I საავადმყოფოს თერაპიული განყ-ბის გამგე (1921–66).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.

ლიტ.: გ ა მ ც ე მ ლ ი ძ ე მ., ლ ა ბ ა ძ ე რ., ალექსანდრე კანდელაკი, თბ., 1972.